ნასყიდობის ხელშეკრულება # 26

-20-07/2018 წ.

ერთის მხრივ, შპს „ლიბროსი" (ს/კ412710909), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა ტყეშელაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა (ს/კ 215606422), წარმოდგენილი მარინე სარალიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), ერთად წოდებული „მხარეებად", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: წიგნები (შემდგომში „საქონელი") მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა;

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში განსაზღვრული საქონლის კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ინვოისში.

1.3 კონკრეტული შეკვეთით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას მხარეები ადასტურებენ სათანადო სასაქონლო ზედნადების ან მიღება/ჩაბარების აქტის გაფორმებით.

2. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს „შემსყიდველ"–ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით.

2.1.2 მიაწოდოს „შემსყიდველ"–ს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ხელშეკრულების საგანი უნდა პასუხობდეს ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებს.

2.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

2.2.1 დროულად მიიღოს/ჩაიბაროს საქონელი, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება.

3. საქონლის ფასი და ანაზღაურების პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს 50(ორმოცდაათ) ლარს

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადახდა განხორციელდება საქონლის მიწოდებიდან და შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ–ფაქტურის გამოწერიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 ანგარიშსწორება წარმოებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების გზით.

4. პირგასამტეხლო

6.1 შეთანხმებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0.5%–ის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ დღეზე.

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან და/ან დარღვევათა აღმოფხვრისაგან.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან .

7.2 ხელშეკრულება შეიძლება მხარეებმა ვადაზე ადრე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოშლის 30 დღიანი ვადის დაცვით. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს.

6. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს–მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე ფორს–მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

8.2 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აცნობოს ფორს–მაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედებების შესახებ, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს–მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

7. კონფიდენციალურობა

9.1.3 კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული და არ გამჟღავნდება პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით მესამე მხარეზე, ამასთან, არ მოხდება ინფორმაციის გამოყენება ინფორმაციის გამცემი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მიზნებისა.

8. სხვა დებულებანი

10.1 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ წერილობითი ფორმით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე და რჩება მხარეებთან.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
შ.პ.ს. „ლიბროსი“	სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა
მის: ქ. ქუთაისი თავისუფლების#82	
საიდენტიფიკაციო კოდი: 412710909	საიდენტიფიკაციო კოდი:**215606422**
ბანკი: s.s."თიბისი ბანკი" TBCBGE22	დირექტორი: მარინე სარალიძე
ან GE51TB7742036080100003	ხელმოწერა. ----------
დირექტორი: გიგა ტყეშელაშვილი	
ხელმოწერა. ----------	